


ხალგაზრდა ვერეული

ქვეყნის
1921 წლის

საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი

წანი : 1990



მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი

ქართველ ერს კაცობრიობის წინაშე აკისრია განსაკუთრებული სულიერი მისია.

ამ მისიის შესრულება არ შეუძლია იმპერიის მიერ დანაწევრებული, დამონებულ საქართველოს; ამიტომაც განგების განჩინებით, ახლახან, პირველი მრავალპარტიული არასაბჭოთა არჩევნებით, მოგვეცა შანსი ავტორიტეტით ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო...

საქართველოს ისტორიული მტრები — მეზობელი იმპერიები — ჩვენი დაქუცმაცებით ცდილობდნენ ჩვენს დამონებას და გადაგვარებას; მუჰაჯირობაც, აჭარის ავტონომიის შექმნაც, აჭარელთა ცალკე ერად გამოცხადებაც და კიდევ მრავალი სხვა მზაკვრობა მათი შეთანხმებული მოქმედებითაა განხორციელებული... ახლაც, წინასწარჩვენო პერიოდში, მომზადდა კიდევ ერთი შეთქმულება აჭარის (საქართველოს) წინააღმდეგ; ამის შესახებ, ჯერ კიდევ 28 ოქტომბრამდე, მიუთითებდა ტარიელ ფურცლარზე წერილში „იმპერიალისტთა ახალი შეთქმულება აჭარის წინააღმდეგ“ რომელიც გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ დაიბეჭდა და ჩვენ ამ საკითხს ახლა აღარ შევხებით.

ჩვენთვის ნათელია აჭარის მოსახლეობის უდიდესი როლი ქართველი ერის ისტორიაში, აჭარა იყო ის პირველი კუთხე, რომელმაც პირველმა, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში, მიიღო ქრისტიანობა და საფუძველი დაუდო ქართულ ხალხურ ქრისტიანობას — გიორგიანობასთან შერწყმულ ქრისტიანობას.

აჭარა, იყო პირველი ფარი საქართველოს, შემოსეულ ურდოთა პირველი დარტყმები აჭარას ხვდებოდა.

აჭარა, საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, არის ის კუთხე, რომელიც მრავალგზის ეწაბა თურქთა უღელქვეშ რათა: დანარჩენი საქართველო ეხსნა... დიან, მოყვასისათვის ეწაბა აჭარა, და ახლა მოყვასნი უნდა ამოუღდნენ მას მხარში.

დღესაც განსაცდელშია საქართველოს ეს ძირძველი კუთხე. სხვადასხვა რჯულის პროვოკატორები ცდილობენ არჩევნების შედეგებით სექულარიზებას: ჩვენ აჭარაში საჭირო მუშაობა ვერ გავწევრებთ, აქ ასპარეზი დარჩათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს; ისინი ატყუებდნენ ხალხს, სახელს გვიტყუებდნენ ჩვენ — შეურიგებელ ეროვნულ მოძრაობას, ავრცელებდნენ მაკომპრომიტირებულ ქორებს... ჩვენ ვეღარ გავწვდით ამდენს, ვერ შევძელით ხალხთან მისვლა რომ მათ ჩვენი მოძრაობის ქეშპირიტი სახე დაეწახათ.

ამდენად, არჩევნებში მიღებული ხმების 24 პროცენტი არაა აჭარა მკვიდრთა განწყობილებას პირდაპირპროპორციული (შესაბამისად კომპარტიამ მიიღო 56 პროცენტი), მით უმეტეს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი ოპონენტები არჩევნების დღესაც ავტორიტეტობდნენ (რაც კანონით აკრძალულია); იმპერიალისტურ ძალთა ავტენტები ხალხს აშინებდნენ, ხმათაღლა მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ სკვპ-სთვის, ასე იყო მაგალითად როგორც ჩემი მომწვედა, მაღალმთიან სოფელ იაკობაურში, კვანაში, ნინიაში. ასე ხდებოდა ქობულეთის რაიონშიც, ხელვაჩაურშიც, ხულოში. ამის მოქმედი პირებიც ცნობილია, მაგ-

რამ ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთან ანგარიშსწორებას, ჩვენი მიზანი ურთიერთპატივისცემა და ურთიერთპატიებაა, ურთიერთდინდობაა, შემწყნარებლობაა — ბოროტებას ბოროტებით ვერ მოსპობ! ბოროტებას ისევ სიკეთით უნდა დავუპირისპირდეთ.

დავიფიქროთ წარსულის ცოდვებში, ამ წუთისთვის ერთმანეთს ნულარ ვაწყენინებთ, ნულარ გავწირავთ...

ბევრს გვეკითხებიან როგორია ჩვენი პოზიცია ავტონომიების შესახებ:

ავტონომია საქართველოში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართულ მოსახლეობას; ქართველთა ავტონომია საქართველოში, მკაცრად რომ არ ვთქვათ, დიდი შეუსაბამობაა, ამიტომ ის, რა თქმა უნდა, გასაუქმებელია; ჩვენი აზრით, მისი გაუქმების საკითხი თავად აჭარელებმა უნდა დააყენონ: მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გაუქმების ფაქტი სამართლიანი და ბუნებრივი. ჩვენ არ ჩავერევით აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხში.

ავრცელებენ ქორებს, რომ ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში აჭარის მოსახლეობის სოციალური ინტერესები შეილახება!

ასეთი პროვოკაციული განცხადებების საპასუხოდ მომავალში ჩვენი საქმენი ილაღადებენ:

ჩვენი მიზანია ისეთი დემოკრატიული საქართველო, სადაც არ შეილახება ეროვნული, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური ინტერესები, სადაც ყველა სოფელი თუ კუთხე თავად აირჩევს საკუთარ ხელისუფლებას; მოისპობა „ზემოდან“ დანიშნვის კომუნისტური პრაქტიკა. ჩვენთვის ნათელია, რომ ავტონომიები მეურნეობის მართ-



ვა მხოლოდ ავტონომიები პირს შეუძლია, საკუთარი სოფლის, კუთხის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა მხოლოდ აჭარა მკვიდრს შეუძლია — ამ პრინციპებით ვაპირებთ მუშაობას... აჭარის ავტონომიის დაცვით თავის საფარძელს და პრივილეგიებს იცავს ბიუროკრატიული აპარატი. აჭარელთა ინტერესების პირველი დამცველი კი იქნება მომავალი საქართველოს ეროვნული პარლამენტი!

საჭირო საფარგულები... დღემდეც ყოველნაირად ვეზმარებოდით მათ, ახლა კი, ოფიციალური ქართული ხელისუფლება უფრო მეტად დაეხმარება ყველას. ყველაფერი მოგვარდება თუკი ერთიანობა, ურთიერთდინდობა იქნება, თუკი ქართველი ერი, ერთიან კეთილშობილ სულად ქცეული, გაჰყვება მის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს. გაუმარჯოს დედა საქართველოს ერთიანობას! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

1990. 5. XI.

ზვარე კოსტყვიანი

მინაწერი: ზვიად გამახარდიას აჭარასთან მამამისის მეგობრობაც აკავშირებს. ბატონი კონსტანტინე მეგობრობდა ჰაიდარ ბეგ და მეშვედ ბეგ აბაშიძეებთან. ლაზებთან ერთად კონსტანტინე გამახარდიასი მონაწილეობდა რიხეს ციხიდან მეშვედ ბეგ აბაშიძის გამოსხნაში. ეს ისტორიული სურათიც ამ ამბების შემდეგაა გადაღებული.

5 ნოემბერს ხულოს-ხაბა ორბელიანის პედაგოგიურ ინსტიტუტში 28 ოქტომბრის საგანგებო ბრძანების მიღებით იყო გამოწვეული საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ხტუმრობა. მე-2 გვირდზე გათავაზობთ წერილს

არა ბაქს
ფულგა, ნაართმა
სიბრძნე იმას,
ვისთვისაც
არ ვიპინიჭებია



საპარტიველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ჯარ არ დამთავრებულა, მარამ ჩემპიონი უკვე გამოვლინდა. თბილისის „იპარია“ დარჩენილ ორ ტურს ჩემპიონის სახელით ჩაატარებს... ვულთავით ქართული ფეხბურთის ფლავანს ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ მომავალშიც მრავალჯერ გაეხარებინოს ყველა ზეზარბიტი გულშემატკივარი.



მასალა იხილეთ მე-7 გვ.



„სახელითა მამისათა და ძისათა და სულითა წმინდისათა ვბრძანებ: დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლეელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად.“

მკვლელის სახელი და გვარი შეტანილი იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაჯებელი.

საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებული იქნეს უშიშროების ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე — ძმთა კვლა“.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ეს საგანგებო ბრძანება 1990 წლის 28 ოქტომბერს, კვირას, სიონის საპატრიარქო ტაძარში წაიკითხა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიამ ვანიხილა ეს საგანგებო ბრძანება და ჩათვალა, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ზელს ჩვენი ახალგაზრდების ზნეობრივ აღზრდასა და სამართლებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას, გა-



„ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი სულიერი შვილებო, უპირველეს ყოვლისა, მინდა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო — მიმართა და მსწრეთ კა-

ლიად საწინააღმდეგო გრძობა — მიუტეველობა, შური, დვარძლი, გაუტანლობა. რწმენასთან ერთად სიყვარული და ეკარგეთ. ყველაფერი დაირღვა და იმ სხეულში, იმ სუ-

ლის ხეობაში აშენდება ციხე-კარიბჭე მამთა მონასტრით, რათა აქედან შემოხუთმა კაცმა, უნდა იგრძნოს, რომ ქრისტიანულ ქვეყანაში შემოაბიჯა.

ახლანდელ ახალქალაქიდან მოგვალა ცნობა და უკვე საქართველოს ეკლესიის გამგებლობაში შემოვიდა წლობით უცხო გარემოცვაში მართვებული ნახევრად დანგრეული, კუმურღოს ეკლესია.

მსგავს მდგომარეობაში დღეს, საქართველოში ბევრი ეკლესია-მონასტრია. ყველა მათგანი ახლანდელის ერთგულეობას, მარჯვენას, გულის სიბოზს და სიყვარულს ელოდება.

ქართველობა კვლავ სარწმუნოებისაკენ შემობრუნდა და ამის წყალობით ვაკუუმი, რომელიც წლობის მანძილზე გაჩნდა ქართველ კაცში, კვლავ შეივსება.

მინდა მოგიწოდოთ, ყველა ადამიანი დაინახოთ ახლობელი, ძმა, და, ნათესავი, დედა და მამა. ერთ-

მანეთს უნდა გავუფრთხილოდეთ. უფროს თაობას უნდა გავუფრთხილოდეთ, პატივი უნდა ვცეთ, თაობას. რომელმაც მამივე გზა გამოიარა, რომელმაც ბერძნის ატანა მოუწია, — სოციალურ-პოლიტიკური პრესის ქვეშ მოექცა, როცა მილიონობით ადამიანი უტოპიურ იდეებს შეეწირა, ბევრმა ქართველმა თავისი სახე შეინარჩუნა. ერთად უნდა ვყოფიოთ, ერთად ყველა თაობის ადამიანები“.

სტუმარმა ბევრ საგულისხმო შეკითხვებზე გასცა პასუხი. მათ შორის სიკვდილით დასჯის გაუქმებაზეც ითქვა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამის თაობაზე არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს, წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, ვინაიდან თვლის, რომ სიკვდილით დასჯა ესაა კანონით შენიღბული დანაშაული.

ბოლოს ილია II დალოცა და სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ ინსტიტუტს ბიბლია და წმინდა გიორგის ხატი გადასცა.

ინსტიტუტის პროფესორ მასწავლებელთა სახელით კათოლიკოს პატრიარქს მადლობა გადაუხადა პროფესორმა ლევან კვაჭავაძემ, ინსტიტუტის რექტორმა ვლადიმერ გაგუამ სტუმარს ფერწერული ტილო უსახსოვრა.

წინმოკვანდირაქმა

პრა გაქვს უფლება, წაართვა სიხოსხლე იგას, ვისთვისაც არ მივიჩნევია...



ზრდის მათ პასუხისმგებლობას ერის წინაშე.

აქედან გამომდინარე, სახალხო განათლების სამინისტრომ დაიავალა საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო სკოლების პროფტექნიკური სასწავლებლების დარექტორებს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, ფართოდ ვანიხილონ და მსჯელობის საგნად აქციონ აღნიშნული ბრძანება მოსწავლეთა, სტუდენტთა, პედაგოგთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივებში.

5 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწვია. დაათვალიერა საქართველოს ისტორიის კაბინეტი.

შეხვედრამ პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით სავსე დარბაზში გადინა ცვლა.

თოლიკოს-პატრიარქმა. — მოხარული ვარ, რომ თქვენთან ვიმყოფები, რათა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული და ტკივილები, ასევე მზად ვარ მოგიმინოთ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მრავალი ბრძანება დაწერილია, მაგრამ მსგავსი არასოდეს. ეს ერთი მხრივ, რაღაც იმედის მომცემია, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე მეტყველებს. რითი იყო გამოწვეული ამ ბრძანების დაწერა? ეს არ არის ერთი დღის გამო მიღებული გადაწყვეტილება. ეს პანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებოდა და დადგა ის საშიში ჟამი, როცა უხათუოდ უნდა დაწერილიყო.

რა მოხდა, როგორ შეიცვალა ქართველი ადამიანი, რომელმაც ღვთისაგან რწმენით, უნაპირო სიყვარულითა და ღვაწლით დაიწყო. როგორ შემოიჭრა მის სულში სრუ-

ლში სადაც სიყვარული სუფევდა, სიძულვილი და იხადგურა.

დღეს მრავალი სიხლის წინ ვდგევართ. ღვთის ლოცვა-კურთხევით მოვესწრებით საქართველოს თავისუფლებას, მაგრამ თავისუფლება უდიდესი ჭილღია, ყველაფერ ამას ღირსეული დახვედრა უნდა.

ჩვენ მრავალი სიკეთე გველოდება, მაგრამ მრავალი საშიშროებაც. მრავალი პარტიის შექმნასთან ერთად შეიქმნა შეიარაღებული რაზმები, უკვე ისმოდა მუქარა, შეიქმნა ძმთა კვლის საშიშროება. კარზე მომდგარმა უბედურებამ გადაწყვეტილია ეს ოქტომბერს, კვირას დღით, დამეწერა ეს საგანგებო ბრძანება. ეს ჩვეულებრივი ბრძანება არაა. ეს მარტო წიგნში

კი არ შევა, არამედ ყველა მკვლელი დაგმობილი და შეჩვენებული იქნება. ეს ცოდვა მარტო მისი კი არაა, მთელი შთამომავლობის ცოდვა იქნება, შვილიდან შვილზე გადავა. ხშირია შემთხვევა, როცა მკვლელი ჩვენების დროს თავს იმართლებს, რომ მოკლულს სიცოცხლის უფლება არა ჰქონდაო. აკი საგანგებო ბრძანებაში მითითებულია — „ყოველი ქართველი ადამიანის მკვლეელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად. არა გაქვს უფლება, სიცოცხლე წაართვა იმას, ვისთვისაც არ მივიჩნევია...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ისაუბრა საქართველოში მიმდინარე საეკლესიო აღდგენით-სამუსოვბესა და მშენებლობებზე, — დარა-



ფარულიანი რედაქციის

უმორჩილესად ვთხოვთ, თქვენ გახეიხის საშუალებით მივულოცო საარჩევნო ბლოკის „მრავალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ წევრებს ესოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება. გვჯერა, რომ დიდი ხნის დაწყებული ბრძოლა სრულიად საქართველოს თავისუფლებისათვის, ასევე წარმატებით დასრულდება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ცოტა ხანში გამოვა ჩემს მიერ ოთხწლიანი მუშაობის შედეგად შედგენილი ეროვნული წიგნი — „ალგებრა და საქართველოს მატრიცა“, სადაც ალგებრული ამოცანების საშუალებით, მოსწავლეთა და საქართველოს ძირითად ისტორიულ მომენტებზე ვესაუბრები. ამ წიგნის პირველი ამოცანა მოსწავლეთა სთავაზობს, შესაბამისი მათემატიკური გაანგარიშე-

ბის საფუძველზე იპოვონ საქართველოს პირველი მეფის, ქართული მწიგნობრობის შემქმნელის, ფარნავაზის მოღვაწეობის თარიღები. ხოლო ამოცანა, რომელიც წიგნის ბოლო ფურცელს ზელსაწერის სახით დაამშვენებს, ახლა დაიბადა და იგი ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მისი ბლოკის გამარჯვების ღირსშესანიშნავ ასპექტს ეძღვნება. აი ისიც:

„ღვინობის თვეში გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა თერთმეტი პოლიტიკური პარტია და ბლოკი. იგი დამთავრდა საარჩევნო ბლოკის „მრავალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ და მისი სპიკერის ზვიად გამსახურდიას ბრწყინვალე გამარჯვებით. ეს გამარჯვება, უფლის ნებით, საქართველოს თავისუფ-

ლების ქეშმარიტი დასაწყისი გახლავთ.

იპოვეთ, [—26, 56] შუალედზე,

$$y = \frac{3980}{x^2 - 4x + 6}$$

ფუნქციის

უდიდესი მნიშვნელობა, ზრდადობისა და კლებადობის შუალედის სიგრძეები და შესაბამისად მიიღებთ — რომელი წლის, ღვინობისთვის რომელ რიცხვში გაიმართა არჩევნები და ამომრჩეველთა ხმების რაოდენი პროცენტი დააგროვა „მრავალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველომ“.

გურამ ჩაჩანიძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

ამა წლის 25 ოქტომბრის „ახალგაზრდა ივერიელში“ წავეითებე განცხადება, რომელსაც ხელს

აწერს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაცია: „1990 წლის 27 სექტემბერს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის რეგიონალურმა ფრონტმა „აღმაშენებელმა“ გამგეობისა და პირველადი ჯგუფების რწმუნებულთა კრებაზე გამოაცხადა თვითლიკვიდაცია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.“

ვინაიდან 1990 წლის 18 სექტემბრის „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო ფრონტის ინფორმაცია, რომ 1990 წლის 12 სექტემბერს საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის გადაწყვეტილებით, ჩატარდა ოქტომბრის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი ამავე რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის გამგეობის საქმნობის შესახებ. კონფერენციამ უარყოფითად შე-

აფასა გამგეობის მუშაობა და მიიღო გადაწყვეტილება რეგიონის სახალხო ფრონტის გამგეობის ხელახალი არჩევნების შესახებ და ამავე კონფერენციაზე ოქტომბრის რეგიონალური სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გოჩა გავაშელი.

აგრეთვე 1990 წლის 16 ოქტომბრის „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ბატონ ნოდარ ნათამის განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ ყოფილი ოქტომბრის რაიონის რეგიონალური სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ლედი თორქიას არ ჩაუბარებია მრავალი ბეჭედი და რომ იგი ვერ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, თუ რამდენად კანონიერად გამოიყენებს ეს პიროვნება მრავალ ბეჭედს და აგრეთვე საბანკო ანგარიშზე გადარიცხულ თანხას.

წინმოკვანდირაქმა



1990
8 ნომბერი
პაგოსის 1990 წლიდან

PEGASUS

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის აგენციის ტრავანო
AGENCY OF INTERNATIONAL CULTURAL ASSOCIATION OF GEORGIA



საქართველომ გააკეთა არჩევანი

70 წლის განმავლობაში პირველად მოხუცილ


მრავალპარტიულ არჩევნებში დიდი უპირატესობით

განიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა

„ერგველი ეგვიდა-თავისუფალი საქართველო“



1917



1990 წ...

საქართველოს
კულტურის
საერთაშორისო
ასოციაციაში

19 ოქტომბერს საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში მოეწყო ქართული ფოლკლორული ანსამბლების პროგრამების მოსმენა, რომელთაც სურვილი გამოთქვეს გაერთიანდნენ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“ში, ეპსპერტთა ჯგუფმა ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტის წევრის, კომპოზიტორ ვაჟა ახარაშვილის თავმჯდომარეობით, აღნიშნა, რომ ძირითადად ანსამბლები დაკომპლექტებულია ნიჭიერი შემსრულებლებით, მაგრამ მათ ჯერ კიდევ აკლიათ სინქრონული, პროფესიონალური შესრულება.

შემდეგი მოსმენა გაიმართება ერთი თვის შემდეგ.

26 ოქტომბერს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, ბატონი დემურ ბაშელიშვილი შეხვდა ფინეთის საქმიანი და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ასოციაციასთან ურთიერთობით. შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ასოციაცია „პეგასის“ პროგრამა და უახლოესი გეგმები.

გაიმართა აზრთა გაზიარება საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. გამოითქვა სურვილი ასოციაცია „პეგასის“ და ცალკეულ ფირმებთან ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობების განვითარების შესახებ, კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ ფინეთის საინფორმაციო ბიუროსა და გაზეთ „პეგასის“ რედაქციებს შორის ფინეთისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების შესახებ ინფორმაციების რეგულარული გაცვლის თაობაზე, ფინეთში ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის მოწყობისა და გაისად, გაზაფხულზე პელსინკში სიმპოზიუმის გამართვის შესახებ. განიხილეს, აგრეთვე, ორივე მხარისთვის საინტერესო აქტუალური საკითხები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფინეთის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე კარი ალასარი, ამ პარტიის თავმჯდომარის მოადგილე პეკა პეიკინენი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი ლეა ლანგი, გაზეთ „აამულეტის“ კორესპონდენტი სამპო პეისკარი, გაზეთ „კარსან უუტისეტის“ კორესპონდენტი ლეენა ნინიმა, სხვა ჟურნალისტები.

დასასრულს ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

28 ოქტომბერს მხატვრის სახლში დაიხურა ასოციაცია „პეგასის“ მიერ მოწყობილი ბრაზილიელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენას მრავალი თბილისელი და ქალაქის სტუმარი გაეცნო. დღემდე უცნობი, თვითმყოფადი ხელოვნების ბრაზილიელი მხატვრების ნამუშევრები საქართველოს ქალაქების საგამოფენო დარბაზებში გადაინაცვლებს.

30 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასისა“ და ფინეთის საინფორმაციო ბიურო „პრომინორის“ წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის დროს განიხილეს ორ მხარეს შორის კულტურული ურთიერთობის საკითხები. ფინეთის საინფორმაციო ბიურო გახდა ასოციაცია „პეგასის“ უცხოელი კოლექტიური წევრი. მოლაპარაკების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთობის ვრცელ პროგრამაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი და ფინელი ხალხების მეგობრობას, ორივე ერის სულიერი სიმდიდრის მეტად წარმოჩენას და პოპულარიზაციას.

დასასრულს საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ პრეზიდენტმა, ბატონმა დემურ ბაშელიშვილმა და ფინეთის საინფორმაციო ბიუროს „პრომინორის“ დირექტორმა ქალბატონმა აილა ნინიმა-კეპპომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ „ფინეთ-საქართველოს“ მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ბატონი რენო სირაძე, ქართველი და ფინელი ჟურნალისტები.



ჯავახიშვილის ფოტო.

ინფორმაცია

სამხრეთ საქართველოს გიმნაზიის
არქეოლოგიური ექსპედიცია



ჭავჭავაძეში 30 წლის წინათ ქვის ხანის ბირველ კვალს მიაკვლია არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ. ეს იყო სამი ქვედაპალეოლითური ძეგლი ახალქალაქი I, II და კუმურდო, ამით ამოიწურებოდა ცნობები ამ მხარის ქვის ხანის შესახებ.

1980 წლიდან სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მ. გაბუნიას ხელმძღვანელობით დაიწყო აქ გვეგამანი არქეოლოგიური კვლევები, რასაც მოჰყვა სამი ახალი ღია ქვედაპალეოლითური სადგომის მოპოვება ახალქალაქში III-IV და ხუთი მდვიური ნაპოვნისა.

მდვიური სადგომებში მოპოვებულია ორ-ორი კულტურული ფენა — მეზოლითური და ზედაპალეოლითური ეპოქებისა. ეს უკანასკნელი მეცნიერებისათვის განსაკუთრებულად დიდ აღმოჩენას წარმოადგენს: ასეთ მთაწმინდის რეგიონში (1668 მ. ზღვის დონიდან) ზედაპალეოლითის მოპოვების ფაქტი ჯერ არაა ცნობილი.

ყოველივე ამის გამო ქვის ხანის არქეოლოგიის სპეციალისტებს შორის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე განუწყვეტელი კამათი იყო გამართული.

წლებულს, 25-30 აგვისტოს ჭავჭავაძეში, ახალქალაქში მოეწყო ჭავჭავაძის ქვის ხანის კვლევის 10 წლის შედეგებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირი.

თათბირზე წარმოდგენილი იყო ექსპედიციის მიერ 10 წლის მანძილზე ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები.



თათბირში მონაწილეობდნენ ექსპედიციის მუდმივი წევრები: პროფესორები ო. ლორთქიფანიძე და პალეონტოლოგი ა. ვეკუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიადამკოდნე თ. ურუშაძე, პალეოგეოგრაფი, მეცნიერებათა კანდიდატი ჭ. ჯანელიძე, პალეოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი ე. ყვავაძე, არქიტექტორი შ. კალანდარიშვილი, ფოტოგრაფი ლ. საფრანჯიანი და სხვები.

ჩამოსულ სპეციალისტთა შორის იყვნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დერევიანკო, არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების პროფესორი ვ. ლიუბინი, სამხრეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბ. ერიციანი, ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ლ. მაკეველი, მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. კვლიძინი, ყარაგანდოდან მეცნიერი თანამშრომელი ე. უსმანოვა და სხვანი.

ამ თათბირმა დიდი გამოხატულება პოვა მკვლევართა შორის, რომლებმაც საჭიროდ სცნეს აქ ინტენსიური არქეოლოგიური კვლევის გაგრძელება.

მანანა გაბუნია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

აკაკი წერეთელი — 150

წყარედ



ქართველ მხატვართა ძველი თაობის წარმომადგენელმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა არჩილ ჟორდანიამ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით შექმნა გრაფიკული ნაწარმოები — ქართველი ერის დიდი მგოსანი ბუნების წიაღში, სოფლის ბავშვებთან ერთად უსმენს ლექსის სტროფებზე მოთხზულზე წყაროს...

აკორტრები

პრეზიდენტის კლინიკის ლაშქარი

ვალიმ ბაბაძინი

(სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი)

მისი ნატურა მოქნილია, მეტიც, იგი ბრძენია. საქმეში აქვს ძლიერი ალღო, სწრაფი ადაპტაციის უნარი. ბაკატინი დამოკიდებულია „ბატონზე“ და არასდროს ამბობს „არა“-ს, მისი მამოძრავებელი ძალა გულუხვობაა, უფრო ხშირად კი — დისციპლინა. ერთი სიტყვით, ბაკატინი თავისი „მეზობრობისადმი“ ერთგული რჩება სიკვდილის საფრთხის შემთხვევაშიც.

დიმიტრი იაზოვი

(სსრკ თავდაცვის მინისტრი)

აქვს მიდრეკილება დოგმისადმი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ადრეულ წლებში, დამოკიდებულია ცრურწმენაზე და მისგან ისევე ძნელია მიიღოთ რაიმე ნოვატორული იდეა, როგორც რაიმე გადაათქმევინოთ. არასდროს მიდის „დინების“ წინააღმდეგ. ასე რომ, მისი ბატონისადმი თავუთა-სცემა დოგმატიზმს აღემატება.

ვლადიმერ კრიუჩკოვი

(სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე)

მასში შერწყმულია დიპლომატიის დახვეწილობა და პოლიციელის სიმტკიცე. იგი არასდროს ჩქარობს დასკვნების გამოტანას და ყველა ვარიანტი აქვს განვიხილავს. სავარაუდოა, რომ იგი კარგი მოჭადრაკე იქნებოდა. მას ფილოსოფიურად მოწყობილი ტვინი აქვს. ერთი სიტყვით, ეს სამი გენერალი მთელი რუსეთის ემსახურებოდა პრეზიდენტს და არა ხალხს. „ბატონა“.



სხვა გაზეთებიდან

რაისა გორბაჩოვა პირველია საბჭოთა ლიდერების ცოლებიდან, რომელიც წინით ქმარზე მსუბუქია. იგი ასევე პირველია პირველ საბჭოთა ქალბატონებს შორის, რომელიც სარგებლობს „ამერიკენ ექსპრესს“ კარდ-ის მომსახურებით, და პირველია ლენინის ცოლის სიკვდილის შემდეგ, ვისაც უკავია თვალსაჩინო საზოგადოებრივი პოსტი — კულტურის საბჭოთა ფონდის კომიტეტის წევრია. მისი ცივი გონების, მოსწრებელი ენისა და ფუფუნებით ცხოვრებისაყენ მიღწეობების გამო ხშირად ქორაობენ მისკოვში.

რაისა ცნობილია აგრეთვე, როგორც საბჭოთა ლორელი. 1984 წელს ლონდონში იგი აღტაცებაში მოიყვანა მარგარეტ ტეტჩერის ბრილიანტის საყურეებმა და უმალ გაეშურა კარტესთან, ნიუ ბონდ სტრიტზე, სადაც ისეთივე საყურეები შეიძინა 1780 დოლარად, „ამერიკენ ექსპრესს“ კარდ-ის ანგარიშით. პარიზში რაისამ იგ სენ-ლორანს მოსთხოვა სუნამო „ოპიუმის“ ფლაკონი, რომელიც 175 დოლარი ღირს, „რადაც“ 30 გრამი, და ფეშქაშად მიიღო. მას გარდერობში ოთხი ბეჭის ქურჩი აქვს, რომელთაგან სამი, სხვათა შორის, ერთი დღის განმავლობაში ეცვა ვაშინგტონში. ერთხელ მიხეილ გორბაჩოვს გესლიანად წამოსცდენია: „ეს ქალი არა მარტო ბევრი ფული, არამედ ნერვების წყვეტადაც მიჯდება“.

— დაიბადა 1932 წლის 5 იანვარს, ალტაიში, ქალაქ რუბცოვსკში, მამამისი — მაქსიმ ტიტორენკო — რკინიგზის ინჟინერი იყო. ამბობენ, თითქოს, რაისა წარმოშობით თათარია და მისი ნამდვილი სახელი და მამის სახელია რუფინა მაქსუდის ასული. გორბაჩოვებს ჰყავთ ქალიშვილი ირინე, რომე-

ლიც ექიმად მუშაობს. იგი ცოლად გაჰყვა თავის კოლეგას. რაისას ჰყავს ორი შვილიშვილი — ოქსანა და ნასტია.

საშუალო სკოლა რაისამ ოქროს მედლით დაამთავრა, მიხეილა კი მხოლოდ ვერცხლისა მიიღო. 50-იან წლებში ორივე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. მიხეილი სამართალს სწავლობდა, რაისა — მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას. გორბაჩოვებმა ერთმანეთი გაიცნეს სამეცნიერო ცენტრებზე და მიხეილმა მალე ჩამოაშორა მას თავიანძვემეფლეთა მცირე არმია. ისინი 1954 წელს დაქორწინდნენ.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს რაისა მიხეილს თან წაყვა მის მშობლიურ სტავროპოლის მხარეში, სადაც მათ 23 წელიწადი დაჰყვეს. რაისა სკოლაში მასწავლებლობდა.

რაისას გარდერობის ძირითად ნაწილს საზღვარგარეთული კატალოგების მიხედვით ამზადებს მოდელიორთა მცირე ჯგუფი სლავა ზაიცევისა და თამარა მაკეევის ხელმძღვანელობით. რაისას თავისი პარკმანერი ჰყავს — ტატიანა, რომელიც თმის გარდა, მის სახის კანსაც უვლის. რაისა თმას ხნითა და ლილით იღებავს, ვერაში ორჯერ კიტრის და მაწვნის მასაჟს იკეთებს.

„ბედმა გამიღიმა მიხეილთან შეხვედრის გამო. — გულახდილად აღიარა ერთხელ რაისამ პარიზში გამართულ სადილზე, — ნამდვილი მეგობრები ვართ“...

იგი შორს არის იმისაგან, რომ იყოს მზრუნველი დისახლისი, თავის დისერტაციაში მას მოჰყავს კაზაკური ხალხური სიმღერის სიტყვები: „სანამ თავისუფალი ხარ — დრო ატარე, ქალწული“.

მხატვრობა

სანამ პოლიტიკური ნახატი გამოფენა მოაწყობდეს...

ავთანდილ თომაშვილმა 15 წლის ასაკში მიიღო ნერუს პრემია, თუმცა ახლა ამის გახსენება არ უყვარს, რადგანაც თვლის, რომ პრემიები და ჯილდოები ფერწერისათვის არაფერს ნიშნავს, ფერწერისათვის მთავარი ხალხის აღიარება და სიყვარულია. აღიარება კი მის ნახატებს არ აქვია. დღემდე მას უამრავ პერსონალურ თუ ჯგუფურ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა ჩვენს ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში, მოსკოვში, ეგვიპტეში.

ბატონმა ავთანდილმა ჯერ უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა (ინგლისური ენა) და ეგვიპტეში გააგზავნეს სამუშაოდ. სწორედ ეგვიპტეში მუშაობისას მოეწყო მისი ნახატების პირველი გამოფენაც. შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, რო-


მელზეც იგი ჩაირიცხა უკვე როგორც მხატვართა კავშირის წევრი და მრავალი აღიარებული ფერწერული ნამუშევრის ავტორი. შემდეგ ორწლიანი სტაჟირება ინგლისის ცნობილ ხელოვნების ინსტიტუტში — „პორნი“ და მრავალ გამოფენაში მონაწილეობა...

ბოლო ექვსი წელიწადია ბატონი ავთანდილი სამხატვრო აკადემიის პედაგოგია, ზოგადი ფერწერის კურსს უკონხავს სტუდენტებს. მისი ნამუშევრები კვლავ საპატიო ადგილს იკავებენ გამოფენებში. უახლოეს მომავალში ცალკე მოეწყობა მისი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ნახატების გამოფენა: დღეს კი გთავაზობთ მისი ფერწერული ნამუშევრების ფოტოებს.

საპუტარი ინფორმაცია



რადისა გორბაჩოვა



ბარბარა ბუშა

ვისი ტანსაცმლის ზომას და ასაკს (იგი 63 წლისაა). უიკ-ენდზე იგი სიამოვნებით ატარებს სპორტულ კოსტუმს, თუმცა აზრად არ მოსწონს, რომ ივარჯიშოს. ბარბარა თვითონ იკეთებს თმების ვარცხნილობას, უყვარს მექსიკური კვერი და „სულუთიქელი“ კითხულობს დეტექტიური ჟანრის წიგნებს.

„ტაიმიზა“ და „გუნტეს“ მიხედვით მოამზადა ნინო რაზმაძემ

გერმანელი შეცდომაში შეჰყავს „გორბაჩოვს“

როგორც ყოველკვირეული „არგუმენტი“ ი ფაქტი“ (№ 42, 1990 წ.). უწყებებ, დღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველაზე გავრცელებული ხსენებულს ხუთთუთული შედის არაყი, რომელიც აქ „ვოლკა“ „გორბაჩოვის“ მარკით იყიდება და უკვე სერიოზულ კონკურენციას უწევს აქ გავრცელებულ ბევრ სასმელს და მათ შორის „ვოლკა“ „მოსკოვსკისა“.

„ვოლკა“ „გორბაჩოვის“ ისტორიის გავრცელების მიზეზი ცხადია, მისი სახელწოდებაშია. თუმცა სწორედ მას შეჰყავს ხალხი შეცდომაში. საქმე ისაა, რომ „ვოლკა“ „გორბაჩოვის“ ბერლინში ამჟამად უშვებს ფირმა „გორბაჩოვ გმზ“ რომელიც მედის არმიის გენერალმა ლ. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა 1880 წელს პეტერბურგში. 1919 წელს ფირმა ბერლინში გადავიდა და ამჟამად მთლიანად ეკუთვნის კონცერნს „ეიტკე“-ში შემავალ დასავლეთგერმანულ ფირმა „ზონდინს“.

ცნობილი საბჭოთა გვარის გამოყენების წყალობით „ვოლკა“ „გორბაჩოვის“ დასავლეთის მომხმარებელს აწვდიან როგორც საბჭოთა კავშირში ოფიციალურად წარმოებული მარკის სასმელს და ისიც უმალ საიდუმლო — დაახლოებით ორი მილიონი ბოთლი წელიწადში.

დღეს საბჭოთა ფირმა „პოლიმპრექსი“ და მისი აგენტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბახარზე იურიდიული ქმედებების დაწყებას აპირებენ „გორბაჩოვის“ მარკის არაკეთილსინდისიერი რეკლამის წინააღმდეგ.

საბჭოთა ფირმა „ვინექსპორტის“ განცხადებით კი „ვოლკა“ „გორბაჩოვი“ დასავლეთგერმანიაში გამოშვებული ერთ-ერთი ყველაზე ფსევდორუსული არაყია.

ჩაუღილი რეპეტიცია

ამას წინათ ვიყავი თელავში. აქ, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობაა, უფრო სწორედ სტუმართმრავლობა. ტურისტები, ექსკურსანტები, საქმიანი კლათბურთელები „მართვებთან“, ბავშვთა სექსტრალო ანსამბლი „ტიტები“ თბილისიდან, რომერტ ბარბაშვილი თავისი საკონცერტო პროგრამით, ტელევიზიის ლიტერატურული რედაქცია მასალების შესაგროვებლად კულტურული ცხოვრების შესახებ და სხვანი და სხვანი... თეატრში მიმდინარეობდა რეპეტიცია სპექტაკლისა „ორი დღე პოლოვნიკის ცხოვრებიდან“ (დამდგმელი რეჟისორი: მალხაზ ასლამაზიშვილი) სცენაზე ჯერჯერობით პირობითობა მეფობდა, ხდებოდა სათამაშო არის განსაზღვრა, პლასტიკური განაწილება, ერთგვარი „მოთელვა“; რეპეტიციაზე ხუთწუთიანი შესვენება და თითქმის მთელ დასს პატარა, მყუდრო ოთახში მოუყრია თავი...

— სადა ხართ აქამდე. ასეთი შეიძლება? მორჩა და გათავდა! რეპეტიცია ჩაშლილია. — მოგვყარა და თვალის დახამხამებაში უკან გადარდა...

საუბარი იმპროვიზებულად წარიმართა. დაიწყო თეატრის მთავარმა რეჟისორმა გოგი ჩაქვეტაძემ: გვგონდა, ყოველმა ქართველმა უწყის, თუ რაოდენ დიდი და მყარი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქია თელავი. თელავის თეატრი მესამე საუკუნეს მიეფიცოს. თელაველს უყვარს თეატრი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დასს მაყურებლის პრობლემა არა აქვს. ჩვენი მაყურებელი ყოველთვის განებივრებული იყო საინტერესო სპექტაკლებით, საინტერესო პრემიერებით. შარშანდელი სეზონი სხვადასხვა მიზეზის გამო არ გამოგვივიდა, მიუხედავად ამისა მაყურებელს ზურგი არ შეუქცევია თეატრისათვის, ბოლომდე ერთგული დარჩა.

...თემურ ხუნაშვილი: ყველაზე დიდი პრობლემა, წმინდა შემოქმედებით პრობლემების შემდეგ, ეს მატერიალური საკითხია: ხელფასები და ანაზღაურება...

გვერდია ერთგვარი შემოქმედებითი აფეთქებებიც, ნუგზარ ლორთქიფანიძის, ნუკრი ქანთარიაშვილის. ამ რეჟისორების მიერ დამდგმულ სპექტაკლებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში, რადიოტელევიზიაში. ჩვენ გვეყავს მსახიობთა ძლიერი ბირთვი. მათი ძალისხმევით თელავის თეატრის დასი საქართველოს ნებისმიერ თეატრალურ დასს ამოუდგება მხარში, ასეთია სპეციალისტთა აზრი.

— და ეს მით უმეტეს ჩვენთვის — ჩაერთო საუბარში ნაზი არალიშვილი — პერიფერიის თეატრის მსახიობებისათვის, რომელთაც არ აქვთ საშუალება დამატებითი მუშაობისა (ვთქვათ, რადიოტელევიზიაში, კინოში...).

საუბარში თემურ ხუნაშვილი ჩაერთო: მიუხედავად ამისა, თელავის თეატრისათვის მეტად მტკივნეულია თაობათა ცვლის პრობლემა და ეს მარტო ჩვენი დასის სატკივარი როლია. თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს ურჩევნიათ თბილისის თეატრებში წლები გაატარონ როლის გარეშე, ოღონდ პერიფერიის თეატრებში არ წავიდნენ, თუმცა იქ მათ ბევრი საინტერესო როლი ელოდებოდა.

— რაც შეეხება თვითდაფინანსებას, — განაგრძო მთავარმა რეჟისორმა — ეს თეატრისათვის, ჩვენი აზრით, თვითმკვლელობის ტოლფასია. თეატრზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს. ახლა ამას, ალბათ, აღარაფერი ეშველება, ახლა რაც შეეხება რეპერტუარს: გასული სეზონის ბოლო პრემიერა იყო ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისია?“. მიმდინარეობს მუშაობა თურქი დრამატურგის აზიზ ნესინის პიესაზე „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო“... დაიდგმება სპექტაკლი აკაკი წერეთლის სიუჟეტულია. ჩვენი დაკვეთით ალექსანდრე კოტეტიშვილმა დაწერა პიესა ბიბლიურ თემაზე „იოსებ და მანა მისნი“, რომლის დადგმა 1991 წლისათვის არის გამოიწველი.

აქ კი, ვნო ინტელექტუალური, რომლის შესახებაც გვითხრეს, სცენიდან გადმოსული ალაღესავით დადის თელავის ქუჩებში, ამ საოცრად არტისტული გარეგნობისა და ბუნების კაცმა, არტისტული ექსტრაკულტურით წამოიძახა: პერიფერია ყველაფერს შესახებ შეიძლება ითქვას, მაგრამ ხელოვნებას ეს არ ეხება... გაზარდაცა ხალხი, მსახიობი, რომელსაც ურჩევნია წლები ელოდოს უმინველო როლს დედაქალაქის თეატრში, ბუნებით არ არის არტისტი... ამ გაცხარებული საუბრისას ოთახში მალხაზ ასლამაზიშვილი შეიძობდა.

საუბარი დასრულდა. ყველას დავემშვიდობეთ და ბოლის მოსახელად მალხაზ ასლამაზიშვილს შევეუარეთ. იგი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ბუნებულა, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენა. ჩვენ ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით მოეთხრო თავისი ახალი სპექტაკლის შესახებ, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— „ორი დღე პოლოვნიკის ცხოვრებიდან“ არის დავით კობახიძის და ალექსანდრე ლორთქიფანიძის მიერ გადმოქართულიებული მეტი და ენი კენის ვოდეილი-კომედია „ბიჭუნა“. სპექტაკლის მხატვრია ლევან როსტომიშვილი, კომპოზიტორი — ნინო ჯანჭილა. მოქმედება ხდება რევოლუციამდელ საქართველოში. მთავარი გმირი კეთილშობილური გვარის წარმომადგენელია, მაგრამ უძეო, უშთამომავლო. მის გარშემო მდებრი ხალხია, ბრბო... თითოეული რვა, ცხრა, ათი და მეტი შვილით, რომელთა არც ვაზრდა და არც გამოყვება არ შეუძლიათ... და ყველაზე მოხერხებულნი ატყუებენ ამ ჩვენს კეთილშობილ კაცს და საკუთარ შვილებს აჩეჩებენ, თითქოს და მისი ყოფილიყოს. ასე იბილწება გვარი, გვარი რაა, თუ რამე ტრადიცია, რაიმე კარგი გავაჩნდა, ბრბოს ხელში გადადის და იკარგება. და ეს ყოველივე კომედიის საბოლოო მოცემული ვნახოთ, როგორ მიიღებს მაყურებელი.

ნათია ზამზახიძე, თხუ შურნახიძის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

მილოცვა

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია ულოცავს საქართველოს, მთელ ქართველ ხალხს, მთლიანად საქართველოს მოსახლეობას არჩევნებში ეროვნული ძალების უდიდეს გამარჯვებას.
არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით გვსურს გავაკეთოთ შემდეგი განცხადება:
მავანი და მავანი ხშირად გვიცემენ შეიშინებულ ჩვენი „დამარცხების მიზეზების შესახებ. დავალებული შაქვს განვაცხადო, რომ ყველაზე უფრო დასაწყისი დამარცხების შესახებ უსაფუძვლოა. ჩვენ ვთვლით არჩევნების შედეგებს არა „დამარცხებად“, არამედ ჩვენს უდიდეს გამარჯვებად.
ამასთან, ქართველი ხალხის მიერ თავიდან იქნა აცილებული ის უდიდესი სირცხვილი მსოფლიო საზოგადოების თვალში, რაც შეიძლება გამოეწვივა არჩევნებში იმპერიული ძალების გამარჯვებას.

ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ განსაკუთრებული გამარჯვება ეროვნულმა ძალებმა მოიპოვეს იმ ადგილებში, სადაც ჩვენც გავწეული გვექონდა აქტიური აგიტაცია. თავის ბედნიერად ვთვლით, თუ ჩვენც ჩვენი პატარა წვლილი შევიტანეთ საქართველოს კეთილდღეობის საქმეში.
დასასრულ, გთხოვთ ყველას, ვინც მხარი დაუჭირა № 11 ბლოკს მასში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობის გამო, 9 და 10 ნომბერს 11 საათიდან მობრძანდეთ კინოს სახლის დიდ დარბაზში, რათა ერთად შევაფასოთ არჩევნების შედეგები და განვიხილოთ საქართველოს კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების შემდგომი სტრატეგია.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი შორაღანიძე.

გიშვევით „ჯუნა“

ცნობილი მკურნალის ჯუნა დავითაშვილის ფენომენმა დიდი ხანია ტრიუმფით მოიარა მსოფლიო და უამრავი თანამოაზრე შეიძინა. მისი მიმდევრებისა და მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ჩვენს დედაქალაქში მოღვაწეობს და ისინი სიამოვნებით ახმარენ ადამიანებს საკუთარი ხელების „მაგიურ“ ძალას.
ჩვენი საამაყო თანამოქალაქის, ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინის საერთაშორისო ასოციაციის (მისი წევრია 120 ქვეყანა, მათ შორის აშშ, გერმანია, იტალია, და ა. შ.) პრეზიდენტის, პროფესორ ჯუნა დავითაშვილის

უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის მე-13 პოლიკლინიკის ბაზაზე შეიქმნა პროფილაქტიკულ განაჯანსაღებელი კომპლექსი „ჯუნა“. სადაც თქვენ მოგეძიებთ კვალიფიციური სპეციალისტები ჯუნა დავითაშვილის უკონტაქტო მასაჟის მეთოდით.
ფორმა „ჯუნა“ ხელმძღვანელობას უწევს ექიმი ბიოენერგოთერაპევტი ვინა სულაშვილი.
ჩვენი მისამართია — თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა № 2, მე-18 პოლიკლინიკა (ოპერის და ბალეტის თეატრის პირდაპირ).

ლია წარილი აკადემიკოს თამაზ გამყარელიძეს

თბილისის ტრიკოტაჟის ს/გ „გლდანის“ მრავალათიანი კოლექტივი მოგმართავთ თხოვნით ექვნი იყაროს 11 ნომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს განმეორებით არჩევნებში. ვთვლით,

რომ, თქვენი ყოფნა ქართულ პარლამენტში არა თუ სასურველი, აუცილებელია.
კოლექტივის დავალებით: **ელენე ნიკოლაიშვილი, ვიქტორ ნაცვლიშვილი.**

ვიზების სატარებნად

გთხოვთ, მიმართოთ კოლექტივულ ფორმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ უოველდღე დახვეწების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე, ვიზების თარგმანს ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიეთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 3.

განცხადება

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აცხადებს, რომ დაუსრულებელი სწავლების სტუდენტები მიმოსილით ლექციებზე გამოცხადდებიან შემდეგ ვადებში:
ისტორიის ფაკულტეტის ფასიან სწავლებაზე ჩარიცხული პირველ-სურსელი სტუდენტები უნდა გამოცხადდნენ მ/წ 12 ნომბერს, 15 საათზე — საქ. სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შენობაში (ჭავჭავაძის პრ. № 49);
ფილოლოგიის ფაკულტეტის უფლის სწავლების პირველი კურსის სტუდენტები — 24 ნომბერს, ხოლო ფასიან სწავლებაზე ჩარიცხულები — 1 დეკემბერს; ურუნალისტიკის ფაკულტეტის

საპარტიულო ახალგაზრდობის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტი გაცნობებთ, რომ საქართველოში იმყოფება საარის მხარის (გერმანია) ახალგაზრდული ორგანიზაციების დელეგაცია, რომელიც სურვილი აქვთ შეხვდნენ საქართველოში არსებული ახალ-

უკრადლეა

გაზრდული ორგანიზაციების გაერთიანების, საზოგადოებების წარმომადგენლებს.
შეხვედრა მოეწყობა 1990 წლის 9 ნომბერს 11 საათიდან — 14 საათამდე, მისამართი: ქეთევან წა-

ქეთევან ქ. № 90. ინსტ. რაიონის კომის. შენობა, V სართული. (მეტრო ინსტან) ტელ. 74-50-40, 74-30-57.

საპარტიულო ახალგაზრდობის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტი.

შაბათი ახლოვდა

ახლოვდება დღე, რომელიც ბევრ თქვენგანს თავისი უყიდურესად გატარებული თანამშრომლობისთვის აქვს განკუთვნილი, როდესაც ვიფიქრებთ ხოლმე ჩვენს ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავს და მთავრად ვზრუნავთ.
ქაშუთის ტაძართან შაბათს ჩვენ კვლავ 11 საათისათვის შევიკრიბებით.

თუ გაქვთ გამოუყენებელი თბილისი ტანსაცმელი, რომელიც ჩვენმა გატარებულმა თანამშრომლებმა შეიძლება გამოიყენონ, მოიტანეთ ტაძართან. აქ მათ ხანდაზმული ინვალიდები ელიან.

სათნობის ორდენი (შუამნიშვნელო ახორციელება „კათარზისი“).

კომუნისტური ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმში აცნობებს საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციებს, რომ მორიგი რესპუბლიკური შეკრება გაიმართება 8 ნომბერს 12 საათზე სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომათა დარბაზში.

ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმში

გორის ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1990/91 სსსრკ-ის წლისათვის მონაგზავმალი განყოფილების დახვეწულ სწავლებაზე.

მიზნობრივი დაკვეთით და თავისუფალი კონკურსის წესით სულ 54 ადგილი: საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი — 39 ადგილი, ფინანსები და კრედიტი — 5 ადგილი, სტატისტიკის სპეციალობაზე — 5 ადგილი, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა — 5 ადგილი.

ლო მუშაობის სტაჟი — შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიმართებით, აგრეთვე თანამშრომლობითი სამხედრო მონაშასურებები. სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელების მიმართებით და აღრიცხვისა და კონტროლის სფეროში მომუშავენი.

მიზნობრივი დაკვეთით გამოყოფილია: მესტიის, ლენტეხის, ხულოს და ქედის რაიონებისათვის თითო ადგილი. სტიქიით დაზარალებულთათვის 2 ადგილი, დელითა და მამით ობოლსათვის 1 ადგილი.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღება მხოლოდ იმ მუშა-ახალგაზრდების საბუთები, რომელთა გამომგზავნი ორგანიზაციები და საწარმოები გააფორმებენ ინსტიტუტთან ხელშეკრულებას, მოვლინებული პირის სწავლის ხარჯების ნაწილობრივ ასანაღაურებლად 3500 მანეთის გადახდის ვალდებულებით. ამასთან ინსტიტუტში ჩარიცხულ პირებს გადაუხდის სტიპენდიის მთელი სწავლების მანძილზე.

რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველებისათვის: სინგელო, პლასტუნკა და ვლადიკავკაზი (ორჯონიკიძე) თითო ადგილი. მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან სსსრ 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება და სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში მუშა ან კოლმეურნე არანაკლებ 2 წლის პრაქტიკუ-

ზენიშნა: ა) მიზნობრივი წესით ჩარიცხულებს არ ექნება სწავლის ქირის გადახდა; ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკურ და სხვა სასწავლებლებში სწავლის პერიოდ-

ში მუშაობის სტაჟი მოსამზადებელ განყოფილებაზე შემსვლელს არ ჩაეთვლება.

გ) საბუთები მიიღება და გასაუბრება მოეწყობა ინსტიტუტის III კორპუსში, (საბჭოს ქ. 49). განცხადებები მიიღება 1 ნომბერიდან 15 ნომბრამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, დღის 10 საათიდან 17 საათამდე. შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება, მემართვა და ხელშეკრულება, შრომის წიგნაკის ამონაწერი ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპთან ფურცელზე, სამედიცინო ცნობა — ფორმა № 080-9; საშუალო განათლების ატესტატი დედასი, 6 ფოტოსურათი 3X4 და პასპორტი წარმომადგენლის პირადად.

გასაუბრება ჩატარდება ბილეთით 1990 წლის 18-19 ნომბერს მათემატიკისა და მშობლიურ ენისა და ლიტერატურაში. შემსვლელმა ორივე საგანში უნდა მიიღოს რადიკალური შეფასება. თუ შემსვლელი ერთ რომელიმე საგანში მიიღებს უარყოფით შეფასებას, მოიხსნება კონკურსიდან.

მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლება დაიწყება 3 დეკემბერს.

რეაქტორი

თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მივმართოთ ბატონ თამაზ გამყარელიძეს.
ჩვენითვის სასურველია გასაუბრების ადამიანური გრძობები, რამაც უარი გათქმევინათ არჩევნებში ხელმეორედ კენჭისყრაზე. მაგრამ, გთხოვთ მოუხმინოთ მეორე მხარესაც, აქედან ჩვენ, თქვენს ამომრჩევლებს. ჩვენ კი თქვენს მონა-

წილეობას საქართველოს პარლამენტში აღვიქვამთ არა როგორც თქვენი უდაო ღვაწლის აღიარების და სათანადო პატივის გამოხატულებას, არამედ როგორც იმის აუცილებლობას, რომ ეროვნული კრება დაკომპლექტდეს რაც შეიძლება მეტი საშუალებებისთვის თავის დამდები, მამაცი, საღად მოაზროვნე, ეროვნული სიამაყის გრძნო-

ბით აღსავსე, შემწყნარებელი, კეთილსინდისიერი, პრინციპული და ავტორიტეტული მოქალაქეა.

თქვენ ერთ-ერთი იმათაგანია ხართ, რომლებშიც შერწყმულია ყველა ეს თვისება.

თბილისში ბარნოვის ქუჩაზე მცხოვრები ამომრჩევლები (175 ხელმოწერა).

საზოგადოებრივი პოლიტიკური გაზეთი „ახალგაზრდა იზრებნი“

ტელეფონები: მისაღები — 22-97-81; პასუხისმგებელი ჯეფანი — 22-81-54; წერალების ვარაუდობა — 22-89-49.

საქართველოს კ. ც. ა. ს. ტ. 250000, თბილისი-84, შ. კობახიძის ქ. № 14, აბეგებია ოცხდური წენის საკანთო კორპუსი, სიმაღლის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. ჩამოკიდებულია 68400

რეაქტორი ვეკა ბალაჩიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი — 380086. შ. კობახიძის ქ. № 14.